

**მიწისა და ზეცის განცდა  
ტერენტი გრანელის პოეზიაში**  
**THE EXPERIENCE OF HEAVEN AND EARTH  
IN TERENCE GRANELI'S POETRY**

**მანანა ჭიჭინაძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი, საქართველო

**Manana Chichinadze**

Akaki Tsereteli State University  
Kutaisi, Georgia

**ABSTRACT**

The article explores the poetry of Terenti Graneli who, according to the poet, serves as a bridge between heaven and earth. His poetry has a poignant way of expressing feelings occurring due to his helplessness, broken dreams, rejection, humiliation or ridicule, and loneliness as well as aspiration for and expectation of the new time, in which the poet probably meant both the change of the system and the other world – the distance, the third dimension, which exists beyond eternal mystery, beyond life and death for which he was so desperately striving.

The poetry of Graneli clearly reveals a tragic picture of the clash of reality and transcendent world. He feels intense suffering about humanity in the mundane world, endures unfairness both from men and authorities. He is fighting for survival. The poet looks for and finds god in the godless epoch.

The desire of heaven, seeking god, and the idea of leaving the earth are closely related to the poetry in his works. While the poet expresses discontent with his earthly life, he tolerates the idea that he as a poet and mediator between God and men will have to endure injustice as well as distress to achieve the goals, but the poetry is the only way to get to the place called “the blue distance”.

According to the poet's theological or philosophical point of view, coming closer to God is possible only through decease and transfiguration, rather than by merely dying, those two notions are not the same in the works of Graneli. Death means the end; as for the transfiguration, it means the beginning of something new. It is the place, the new world where the poet's soul can find peace, since the only thing that brings relief is poetry.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული პოეზია, ტერენტი გრანელი, მიწისა და ზეცის განცდა, ასკეტიზმი.

**Keywords:** Georgian poetry, Terenti Graneli, the experiences of heaven and earth, asceticism.

საბჭოთა კრიტიკის მიერ უარყოფილი, „შავი“, „რეაქციული“ წიგნის ავტორად, „უიდეო“, „ბნელეთის პოეტად“ სახელდებული ტერენტი გრანელი იმ ქართველ პოეტთა შორის ერთ-ერთია, რომლის ვერც მოთვინიერება შეძლო საბჭოთა ხელისუფლებამ და ვერც შეკვეთილი მუზის მსახურად ქცევა. „ჩემი ცხოვრების საგანი გახდა გლოვა, დუმილი და გაწვალება“, - უწერია პოეტს, რითაც იგი ნათლად გამოხატავს როგორც თავის მსოფლგანცდას, ისე ნეგატიურ დამოკიდებულებას მაშინ არსებული სინამდვილისადმი. მიზეზი, რის გამოც ვერ შედგა ვერც მხატვრული კომუნიკაცია და ვერც ინტელექტუალურ-ემოციური კავშირი საბჭოთა ხელისუფლებასა და პოეტს შორის, მისი ლექსებისათვის დამახასიათებელმა სულიერმა დეპრესიამ და პესიმიზმმა განაპირობა. ეს უკანასკნელი კი გაამწვავა იმ შავბნელმა ეპოქამ, რომელშიც კაენის სული ბობოქრობდა და „მარათი მოსეირნე მეფისტოფელი“ შემამრწუნებელად ხარხარებდა.

პოეტი თავის პოეზიაში, რომლის მთავარი გმირიც თვითონაა, მთელი სიმწვავეთ გამოხატავს როგორც დამსხვრეული ოცნებების უარყოფის, დაცინვისა და ქილიკის, მარტოობით გამოწვეულ განცდებს, ისე სწრაფვასა და მოლოდინს სხვა დროებისას, რომელშიც, შესაძლოა, სისტემის ცვლილებასაც გულისხმობდა პოეტი და სხვა სამყაროსაც - „სიშორეს“, მარადიული იდუმალების, სიკვდილ-სიცოცხლის მიღმა არსებულ მესამე განზომილებას, რომლის ბინადრობასაც ასე ესწრაფვოდა.

ტერენტი გრანელის ლექსებში რეალურისა და მისტიკურის, მიწისა და ზეცის განცდა მკითხველისათვის თვალშესახებია. მან, როგორც სოსო სიგუა იტყოდა: „ეპოქის ქარიშხლით დაწეწილი ნერვები სტრიქონებად გადმოსცა“ (სიგუა 1988: 167) და, ამავდროულად, შეძლო, მკითხველის თვალი ზეცისკენ მიეპყრო. მართლაც, ტერენტი გრანელი თავისი შემოქმედებით „ცისკენ მაცქერალი და სულ სხვა სამყაროზე მეოცნებე პოეტია“ (ნიკოლეიშვილი 2013: 91).

გრანელის პოეზია ცხადად და მკაფიოდ წარმოაჩენს რეალობისა და ტრანსცედენტური სამყაროს შეჯახების შედეგად პოეტში გამოწვეულ იმ სულიერ დეპრესიასა და პესიმიზმს, რაც ასე მოჭარბებულია მის ლექსებში. პოეტი მიწიერ ყოფაში მწვავედ განიცდის ყოველივე ადამიანურს. ითმენს უსამართლობას როგორც ხელისუფლებისგან, ისე ადამიანებისაგან, მაგრამ არ ნებდება, ფარ-ხმალს არ ყრის, ბედს არ ემორჩილება, იბრძვის გადარჩენისთვის. უღმრთო ეპოქაში ეძებს და პოულობს კიდეც უფალს.

რეალური სამყარო, რომელთანაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოეტი, სანუგეშოს ვერაფერს სთავაზობდა მას. “მე ვერ მიშველის თვით ჩემი ლექსიც/, თვით ჩემი ლექსი – სისხლის რვეული/, პოეზიაში ვარ უდიდესი და ცხოვრებაში გზააბნეული“/ („ქრიან ფიქრები თეთრი და შავი“) – ასე გამოხატავს იგი უკმაყოფილებას თავისი მიწიერი ყოფის გამო, თუმცა, როგორც პოეტი, ანუ შუამავალი ღმერთსა და ადამიანებს შორის, აცხადებს მზაობას, ბიბლიური იობივით გაუძლოს ცხოვრებისაგან თავსდატეხილ უბედურებას, ოღონდ კი დასახულ მიზანს მიაღწიოს. პოეტს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ნაწამებ სულს პოეზია დაუამებს, რამეთუ პოეზია ესახება მას იმ ერთადერთ გზად, რომლითაც შესაძლებელია იმ

საოცნებო სამყაროში მოხვედრა, „ლურჯი სიშორე“ რომ ჰქვია. ამიტომ ეძებს გამაღებით პოეტი თავის ლიმინალურ სამყაროს, სულის ნავსაყუდელს, სადაც შვებით ამოისუნთქავს: „მე პოეზიამ მაგრძნობინა, რომ სადღაც შორს არსებობს უკვდავების ცისფერი მხარე, სადაც დაფრინავს ჩემი მწუხარე სული“ (გრანელი 1972: 68).

ტერენტი გრანელი ერთგან წერს: „პოეზიის საგანი ადამიანის სულის საიდუმლოებათა ამოხსნაა. საიდუმლოებისა და მარადისობის ამოცნობის შეგნება უნდა გაუღვიძოს პოეზიამ ყველას“, – პოეტის ეს შეხედულება გვაფიქრებინებს, რომ იგი, ჟან კოქტოს მსგავსად, ღმერთს აღიარებს უზენაეს პოეტად („ორფეოსი“). ტერენტი გრანელმაც პოეტი გამოაცხადა ღმერთად, ხოლო მუზის მსახურება – განღმრთობის გზად: „პოეტი არის ყოველთვის ერთი/, პოეტი არის ყოველთვის ღმერთი“/, „და ვარ ისევ ერთი“/, „ეს ჩემი სული მუდამ ერთია“ („პოეტი არის“).

ტერენტი გრანელი, როგორც მუზის მსახური, აღიარებდა თავის გამორჩეულობასა და განსაკუთრებულობას. პოეტი ვერ ეგუებოდა იმ აზრს, რომ იგი ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანია, როგორც სხვები. გრანელი, როგორც პოეტი, იტოვებდა უფლებას იმისას, რომ თავი იესო ქრისტესათვის შეედარებინა: „და სასიკვდილო თეთრი ცრემლიდან მე ვიხედები როგორც იესო“ („შემოდგომის პასტორალი“); „თითქოს ვიყავი ათი წლის ბავშვი, თითქოს ვიყავი ბავშვი – უფალი“ („სიზმარი“); „მე შენთან მოვალ დღესაც, როგორც მწუხარე ქრისტე“ („აწეწილი ბედი“); „როგორც ღმერთი ისე ვარ და ეს ფიქრი არ მიდის“ („მთაწმინდა“).

ტერენტი გრანელს გაცნობიერებული აქვს, როგორ იტანჯებოდა მიწიერ ყოფაში იესოს ადამიანური ბუნება აბოზოქრებული ბოროტებისაგან და ამიტომ მთელი არსებით ცდილობს შეიგრძნოს მისი ორბუნებოვნება და გამძლეობა-ამტანიანობითაც დაემსგავსოს მას, რასაც ასე გამოხატავს იგი თავის პოეტურ წარმოსახვაში: „ო, ჩემს გარშემო მკვლევებია, და გამცემლები, / უფალი იყოს ამ ქალაქში ჩემი მფარველი“ („ჩემი ცხოვრება უცნაური“); „სიცივე მიყვებს და მიტევს / მე ვგავარ უთუოდ ქრისტეს“, „სხვა ზეცა მპირდება ამინდს, / წმინდაო მაცხოვარო, ამინ!“; „მე მარადიულ ცისკენ მივიწევ“ („მოგონება შორეულზე“); „და სასიკვდილო თეთრი ცრემლიდან/, მე ვიხედები, როგორც იესო“ („შემოდგომის პასტორალი“); „იყო სიჩუმე, სამი წერტილი, / მას შემდეგ ბევრი ხანი გავიდა, / ახლა შორს ელავს ცა მოწმენდილი/ და მიხმობს ქრისტე მე ვარსკვლავიდან“ („პოეტი პატიმარი“). ნიშანდობლივია, რომ 1922 წელს გამოცემულ წიგნს „სულიდან საფლავები“ ეპიგრაფად უძღვის ასეთი სიტყვები: „ტერენტი გრანელი მოდის სისხლიანი სამარიდან, იქნებ ის იყოს ქრისტე მეორედ მოსული“.

სავსებით სამართლიანადაა შენიშნული ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, რომ ტერენტი გრანელმა ყველაზე უღმერთო გარემოში – საბჭოთა ეპოქაში – იპოვა ღმერთი და მასთან მისასვლელად ყველაზე რთული გზა – ასკეტიზმი აირჩია. ტყუილად კი არ უწოდა ს. სიგუამ მას „ქართული პოეზიის სალოსი“, რითაც ხაზი გაუსვა მისი სულიერი ცხოვრების სირთულესა და განსაკუთრებულობას. მკვლევარ მ. გვეტაძის

აზრითაც, ტერენტი გრანელს “ჰქონდა ღვთისაგან ნაჩუქარი ნიღაბი - სალოსობა“ (გვეტამე 1981: 38). იმავეს იმეორებს ვ. ნიკიტინიც: „ტერენტი გრანელის ცხოვრებას უდავოდ ღვთაებრივი, ქრისტესმიერი სალოსური ხასიათი ჰქონდა“ (ნიკიტინი 2014/15: 131).

საბჭოთა ხელისუფლებამ და მის სამსახურში ჩამდგარმა პროლეტარულმა კრიტიკამ კი პოეტი შეშლილის, გიჟის, გადარეულის ეპითეტებით მოიხსენია. „ქართველმა ხალხმა გიჟი მიწოდა“, „თუ ვტოვებ გიჟის შთაბეჭდილებას,/ დაო, ეს მხოლოდ გრძნობის ბრალია“ („ახლა სადამო ხომ ცისფერია“), „თეთრი ოცნება იდუმალია,/ ქარიშხალივით მოდის ოცნება,/ ახლა სიგიჟე უფრო ვალია,/ ახლა მწყურია გამოცოცხლება“ („ეს გაგიჟება უცნაურია“).

მართებულად შენიშნავს პ. კვარაცხელია, რომ „გიჟი, შეშლილი თავის ოდიოზურ შინაარსს იძენდა ტოტალიტარულ საბჭოთა სახელმწიფოში და ამ სახელით ინათლებოდნენ თავისუფლად მოაზროვნენი...“ (კვარაცხელია 2017: 130). მ. მთვარელიძეც ტერენტი გრანელის შემოქმედების გაანალიზებისას ასკვნის, რომ „სიგიჟე იყო მისთვის ერთგვარი ნიღაბი... ეპოქის უმძიმესი მარწუხებისაგან თავის დაღწევის საშუალება“. ამაზე მიუთითებს პოეტის ლექსი „ჩუმი დუმილი გრძელდება დღემდე“: „... უეჭველია ახლა ნიღაბი / და გაიგებენ დიდი ხნის შემდეგ / რა ცეცხლი მწვავდა და რა ვიყავი“. “მე სხვა ვარ, ხალხი სხვაგვარად მიცნობს, /და ჩუმი ვიტან წამებას ამდენს“ („ძველი ფიქრები ისევ დგებიან“), - წერდა საზოგადოების ერთი ნაწილის მხრიდან უსამართლო დამოკიდებულებით შეწუხებული პოეტი.

გრანელის სახისმეტყველების თანახმად, პოეტი „სისხლიანი ქრისტეცაა“ და უმანკო ბავშვიც. სულის მისეული გააზრება ქრისტიანულია. ზეცისკენ გასაფრენ გზაზე ქრისტეა მისი მცველი და მფარველი. თვითონ ის პატარა მარცვალია, ანუ გრანელი, რომელიც უნდა შეუერთდეს მთელს - ქრისტეს. მისი თეოლოგიურ-ფილოსოფიური თვალსაზრისი სიკვდილ-სიცოცხლეზე ადასტურებს იმას, რომ „შორეული ბაღების სილურჯის ხილვა“, ღმერთამდე მისვლა, ნაწილის მრთელად ქცევა - შესაძლებელია არა სიკვდილით, არამედ გარდაცვალებითა და ფერიცვალებით. სიკვდილი და გარდაცვალება გრანელთან იდენტური ცნებები არ არის. სიკვდილი დასასრულს ნიშნავს, გარდაცვალება კი ახლის დასაწყისს. სწორედ იქ, იმ ახალ სამყაროში შეიძლება მოიპოვოს მისმა სულმა სიმშვიდე, რაშიც მას მხოლოდ პოეზია ეხმარება. პოეზია პოეტისთვის არის ის მაგიური ძალა, რომლითაც იგი მთელი სისრულით შიგრძნობს მიწასაც და ცასაც. გრანელთან პოეზია, როგორც ზემოთ ვთქვით, ხიდია პოეტის ლიმინალურ სამყაროში - სულის ნავსაყუდელში გადასასვლელად, სამყაროში, სადაც სხეული ზედმეტია. გრანელი სხეულს სულის სატუსალოდ მიიჩნევს: „სული - სხეულის ჩუმი ტუსალია“ („სიმარტოვე“) და ამიტომ ისწრაფვის მისგან გათავისუფლებას: „ მიწიდან მოდის ღამე თანდათან/, სადამოს ბაღში ჰქრიან ბინდები/, არ შემიძლია, გული გათავდა/, მე ფრთას შევისხამ და გავფრინდები“ („არავინ მოდის“).

ზეცისკენ გაფრენა, ღვთის ძიება, მიწისგან გასვლის იდეა მჭიდროდ

უკავშირდება, ზოგადად, პოეზიასა და პოეტის სულს. პოეზია არის ტერენტი გრანელის დაღლილი სულისთვის შვების მომგვრელი: „მე პოეზიამ მაგრძნობინა, რომ სადღაც შორს არსებობს უკვდავების ცისფერი მხარე, სადაც დაფრინავს ჩემი მწუხარე სული“ (გრანელი 1972: 68).

სიკვდილის პრიზმიდან დანახული ტერენტი გრანელის ცხოვრება, რომელიც მარადისობისკენ მიილტვის, დიდი განზომილებებისა და მასშტაბების მქონეა, რაც მკაფიოდ და ნათლად ჩანს მის პოეზიაში. პოეტი თავისი ლექსებით მიელტვის ზეციურ სამყოფელს, რამეთუ მხოლოდ იქ ძალუმს მის ნაწამებ სულს სიმშვიდის მოპოვება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ტერენტი გრანელის პოეზიის მასაზრდოებელი წყარო ქრისტოლოგიური სიბრძნეა. მისივე პოეზიიდან მკაფიოდ ჩანს, რომ ტანჯულ გზაზე მავალი პოეტის მარადიული მცველი ქრისტეა და იგი ასე ხშირად ამიტომაც უხმობს მას.

როგორც ტერენტი გრანელის პოეზიაზე დაკვირვება აჩვენებს, პოეტი მთელი სისრულით განიცდიდა თავის, როგორც მიწიერი ყოფის სევდას, ისე ზეცაში, მარადისობაში შესაძლო დამკვიდრების ბედნიერებას. ფაქტობრივად, ამიტომაც აღიქმება მისი პოეზია მიწასა და ზეცას შორის გადებულ ხიდად.

#### გამოყენებული ლიტერატურა

**გრანელი 1972:** გრანელი ტ., ლირიკა, გულიდან სისხლის წვეთები. თბილისი, 1972.

**გრანელი 1991:** გრანელი ტ., პირადი წერილები, რჩეული. თბილისი, 1991.

**გრანელი 1997:** გრანელი ტ., MEMONTO MORI!. თბილისი, 1997.

**გრანელი 2009:** გრანელი ტ., ცისფერი სიმორე. თბილისი, 2009.

**გვეტაძე 1981:** გვეტაძე მ., ტრაგიკული ბედის პოეტი. ჟურნალი „მნათობი“, #10, 1981.

**კვარაცხელია 2017:** კვარაცხელია პ., მისტიციზმი ტერენტი გრანელის პოეზიაში. სადოქტორო ნაშრომი. თბილისი, 2017.

**მთვარელიძე 2015:** მთვარელიძე მ., სიგიჟე, როგორც ხსნა. ლექსთმცოდნეობა. თბილისი, 2015.

**ნიკიტინი 2014/15:** ნიკიტინი ვ., ლექსთმცოდნეობა, თბილისი, 2014/15.

**ნიკოლეიშვილი 2013:** ნიკოლეიშვილი ა., ტერენტი გრანელი. ქართული ლიტერატურა, IV, თბილისი, 2013.